თბილისის
საჯარო
ხელოვნების
ფონდი

ქალები ძეგლებში

ინა ჩარკვიანი, მარტი, 2026

იმ ქალებზე ფიქრით ვწერ, რომლებთან ერთადაც, ბოლო წლებია, ბევრ დროს ვატარებ და რომლებიც უსიტყვოდ, მოძრაობებს შორის მაგრძნობინებენ ხოლმე თანადგომას. მე ამ უთქმელ კავშირს მეგობრობას ვარქმევ.

ბოლო წლებში, შრომაზე ლაპარაკი ქალებთან ჩემი ხშირი შეხვედრის მიზეზი გახდა. ოჯახში დასაქმებული ქალები გრძელი და დამქანცველი სამუშაო დღეების შემდეგ მოდიან ჩვენთან შრომის გამოცდილებაზე სასაუბროდ, ხშირად მხოლოდ ამაზე და სხვაზე არაფერზე. ამ ერთი საკითხის ირგვლივ ლაპარაკით ვიცნობთ ერთმანეთს და ვაგრძელებთ კავშირს. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უსიტყვოდაა გასაგები, რომ ყველას სხვა როლი და ინტერესიც გვაქვს ცხოვრებაში შრომის მიღმა - ვართ მეგობარი, დედა, უკვე ბებიაც, ერთი სახელმწიფოს მოქალაქე, ერთი უბნის მაცხოვრებელი, მკითხველი, მაყურებელი, მგზავრი და ასე შემდეგ. ჩვენ განვსხვავდებით, ან ვგავართ გამოცდილებებით. გრძელ სამუშაო და დასვენების მწირ საათებს შორის შეხვედრებისას, ვლაპარაკობთ მხოლოდ შრომაზე, მაგრამ სიტყვები და მოძრაობები ჰყვებიან განცდილსაც, ამჟღავნებენ სასურველს, ნანახს, დანაკლისს, ნაფიქრს. ჩვენ ვართ ზრუნვისა და საოჯახო მშრომელების პროფკავშირის წევრები.

ალბათ, ბოლო წლების ეს ცოდნა, რომ ადამიანი, ქალი, თავის თავს ერთ წინადადებაში, ერთ მოძრაობაში, უმოძრაობაში, უთქმელობაში და ა.შ. იტევს, გახდა ქალის სხეულითა და ერთი მოქმედებით, ანუ ქანდაკებით ჩემი დაინტერესების მიზეზი. ქანდაკება, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, ქალის სხეულის ერთი, უცვლელი მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს, დაიტევს, გულისხმობს.

არ ვეცდები, ამ სტატიაში გამოყენებული სახელდება, “ქალის ქანდაკება”, გავაუმჯობესო უფრო ადეკვატური სახელოვნებო შინაარსით, რადგან მეც პირველად ვიკვლევ და ვეძიები ამ საკითხს და ქანდაკების სახალხო მნიშვნელობა მაინტერესებს.
ტექსტში აღვწერ და ვაკვირდებით ქანდაკებებს, ძეგლად ქცეულ ქალებს საჯარო სივრცეებში, რომლებიც ჩვენთან ერთად თანაცხოვრობენ ქალაქში, ან არსებობს ხსოვნა მათზე, მაგრამ ქანდაკება უკვე ხსოვნის ადგილიდან აღებულია.

მეგობარს მოვუყევი ჩემს ინტერესზე, ქალაქში ქალების ქანდაკებების დათვლის, აღწერისა და დაკვირვების სურვილზე და მხოლოდ მისი მხარდაჭერით შევძელი ამ საკითხზე წერა.

ქანდაკების დრო და ადგილი

თბილისის საჯარო სივრცეებში ქალის სულ 38 ქანდაკება აღმოჩნდა. ჩემი ინტერესი იყო, დავკვირვებოდი და დამეწერა ქანდაკებაზე, როგორც ქალაქის, გარემოს ნაწილზე, ასევე, ადამიანების მეხსიერების როლზე. მინდოდა, გამეგო, როგორ მონაწილეობენ ქანდაკებები ადამიანების ცხოვრებაში და, ზოგადად, მონაწილეობენ თუ არა.

ჩემს მეგობარ ქალებს ვკითხე, რომელი ქანდაკება ახსოვთ ან ხვდებათ ხოლმე ქალაქში გადაადგილებისას. ქვემოთ გამოტანილი აღწერები, ძირითადად, მათ მახსოვრობას მიჰყვება. თანმიმდევრობა კი ქანდაკებების დადგმის ქრონოლოგიას შეესაბამება.

მწუხარე საქართველო - 1913, როზა ლუქსემბურგი - 1923, ზოია რუხაძე - 1957, სამაია - 1958, ქართლის დედა - 1958, შრომა - 1958, ქალის ფიგურა - 1960, გონების აღმაფრენა - 1961, ტორსი - 1963, გოგონა ყვავილით - 1967, დასვენება - 1969 და ა.შ.
ძეგლად ქცეული ქალების ქრონოლოგიური ჩამონათვალი ეპოქაზე თუ ეპოქებზე დაკვირვების საშუალებას გვაძლევს.

ამ წლებს შორის თუ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ “მწუხარე საქართველოს” “როზა ლუქსემბურგამდე” 10 წელი აშორებს და 30 წელიწადი ქალების ქანდაკებების გარეშე გადის; ამასობაში, ზოია რუხაძე სამამულო ომის გმირობას ასწრებს და 1957 წელს, მისი ძეგლი ორ სხვადასხვა ადგილას აღიმართება - თბილისში და ხონში. თბილისის ახალაშენებულ ბაღს სამი, ერთი და იმავე სახისა და ფიგურის მოცეკვავე ქალის ქანდაკება ავსებს, სახელად “სამაია”. ამ ადგილს სამაიას ბაღს არქმევენ. დედაქალაქის 1500 წლის იუბილეზე, სოლოლაკის ქედზე 20 მეტრი სიმაღლის ქალის მონუმენტს დაკვეთით, უკონკურსოდ დგამენ. მას თავდაპირველად არა “ქართლის დედა”, არამედ “დედაქალაქი” ჰქვია. იმავე წელს პარლამენტის წინ შრომის მონუმენტი განთავსდება. ცაში აჭრილი ქალის მეტალის ფიგურას დგამენ ახლადაშენებულ საგამოფენო ცენტრ ექსპო-ჯორჯიას ეზოში, სახელად “გონების აღმაფრენა”. აქვეა

“შემოდგომა” ტბის პირას - ტირიფის ქვეშ გაწოლილი ქალის სხეული. მერე აშენებენ სასტუმრო ივერიას და მის ეზოში წინასწარი შეკვეთით იდგმება გურამ კორძახიას “გაზაფხული”, რომელსაც ხალხი არქმევს “გოგონა ყვავილით” და სხვ.

სკულპტურა და “ნაყოფიერი მომენტი”

ქალაქის მოძრაობის ტემპით და ყოველდღიური პრობლემებით განსაზღვრულებს, არ გვაქვს მუდმივი მზაობა, აღვიქვათ შემომხვდარი სკულპტურები.

მუშთაიდის ბაღში ქალის ორი სკულპტურა დგას. მათ სანახავად მივედი. ცოტა ხნით წითელ ბილიკზე გავჩერდი და მიმავალ ხანშიშესულ ქალს გამოველაპარაკე. მითხრა, რომ ყოველ დღე კვეთს მუშთაიდის ბაღს ფეხით. “ქალი მტრედით” ხომ შეგიმჩნევიათ, ან რამე მოგონება ხომ არ გაკავშირებთ-მეთქი მასთან, ვკითხე. ეჭვის თვალით და ცოტა გაკვირვებით შემომხედა. არაო, არაფერიო.

სკულპტურა “ქალი მტრედით” აქ 1981 წლიდან დგას. სკვერში თუ მაიაკოვსკის ქუჩით შეხვალთ, რკინისთაღიან ხეივანს გაივლით თუ არა, ქანდაკებას დაინახავთ ხეებს შორის, გვერდულად მჯდომს. თუ ცაბაძის ქუჩის ტროტუარიდან შეხვალთ ბაღში, ღია სივრციდან პირდაპირ ჩნდება: კვარცხლბეკზე მჯდომი ქალი მტრედით ხელში.

თუკი ჩემსავით დღეს გამოითავისუფლებთ და ქალაქში ქანდაკებების დასათვალიერებლად წახვალთ, აუცილებლად გაგიჩნდებათ კითხვები. მაგალითად, რა უნდათ ამ ქანდაკებებს სკვერებში, ტროტუარებზე, და ქედებზე და შემაღლებულ ადგილებზე? რას გვეუბნებიან ეს გაშეშებული სხეულები? რას გულისხმობდნენ მათი შექმნისას და რა მნიშვნელობა ეძლევათ მათ წლების შემდეგ? რისი თქმა შეეძლოთ გუშინ და რას გვეუბნებიან დღეს?

მეთვრამეტე საუკუნეში, გერმანელი ფილოსოფოსი, გ. ე. ლესინგი, თავის ნაშრომში “ფერწერისა და პოეზიის საზღვრების შესახებ”, ქანდაკებას პოეზიასთან წინააღმდეგობაში განიხილავს და ამბობს, რომ ის არის სივრცული, პოეზია კი - დროითი ხელოვნებაა. ქანდაკებაში სკულპტორი ვერ აჩვენებს მოქმედების განვითარებას, ამიტომ მან უნდა აირჩიოს ერთი, ყველაზე ნაყოფიერი მომენტი. ლესინგი ამ მომენტს აღწერს, როგორც ფეხმძიმეს: მომენტს, რომელიც საკუთარ თავში იტევს იმას, რაც მას წინ უძღვოდა და რაც თან უნდა მოჰყვეს ან უკვე მოჰყვა. ეს არის დგომა, ფორმა, პოზიცია, გამომეტყველება, რომელიც თავისივე თავში იტევს არსს.

“რაც უფრო მეტს ვხედავთ, მით მეტად უნდა შეგვეძლოს წარმოსახვა; და რაც უფრო მეტს წარმოვისახავთ, მით მეტად უნდა გვეგონოს, რომ ვხედავთ,” ამბობს ლესინგი.

ლესინგი თვლის, რომ მნახველი სძენს ქანდაკებას საზრისს და აცოცხლებს მას. ქანდაკება ხდება წარმოსახვითი კვანძი, პორტალი სივრცეში - წარსულიდან აწმყოში. ლესინგის აზრით, პორტალის გამოყენება მნახველის წარმოსახვის უნარზეა დამოკიდებული. და კიდევ, უპირობოდ გვჭირდება თავისუფალი დრო და გადაწყვეტილებაც, იმისთვის, რომ ქანდაკებას თვალი გავუშტეროთ.

ვის გაქვთ და გემეტებათ დრო უძრავი ქანდაკებების სანახავად? ქალაქში წარსულის აუხსნელი კვანძები დგანან.

თბილისის საჯარო სივრცეებში მდგარი ქანდაკებების უმრავლესობას თან განმარტება ან აღწერა არ ახლავს. საკმარისი იქნებოდა მეტალის პატარა ფირფიტების არსებობა, რომლებზეც მოქანდაკის გვარი, ქანდაკების დადგმის წელი და სახელი იქნებოდა დატანილი. ხშირად, ისე დგას ძეგლი, შეიძლება, შემთხვევითი ქვაც კი გეგონოს. ქანდაკება თუ ხავსმოდებულია, იქნებ, დაღლილი მასზე ჩამოჯდე ან წამოწვე კიდეც. მაგალითად, კუს ტბისკენ მიმავალი, კულტურის ცენტრ “მუზას” ეზოში თუ შეივლით, ეზოს ბოლოში ნახავთ არაერთ ასეთ უსახელო სკულპტურას. მათ შორის ჩემი ერთ-ერთი აღმოჩენა მგონია 1997 წლის ქანდაკება, “დედობა” - ნახევრად დაჩეხილი მოქნეული ქვა. მისი სკულპტორი ვინმე ელისაბედ ხუანია, სახელზე მეტად ფსევდონიმს ჰგავს. ქვის უფორმო ქანდაკებას, თითქოს სპირალური ხაზები დაჰყვება თავზე და ზურგზე. მნახველის მხარეს კი წყლის ან თმის მსგავსი ტალღოვანი ნაკვეთია, თითქოს მიედინება. ქვის ზედა ნაწილი, რომელიც, თითქოს მაღლა უნდა გრძელდებოდეს, ხესავით გადაჭრილა. არც თავი აქვს და არც ბოლო, მაგრამ ახლოს მისული გუმანით მიხვდები, რომ ქალის სხეულს აჩვენებს.

ქანდაკებებთან დროის გატარების შემდეგ მგონია, რომ ქვის ამ ერთ, გაშეშებულ მდგომარეობას, რომელიც მოძრაობის მოლოდინის შეგრძნებას აჩენს, ცოცხალი ადამიანისათვის სიმყარე მოაქვს. თითქოს, შეგვიძლია, ისინი დროში ათვლის წერტილებად ვიგულოთ. ქანდაკება არ იცვლება, მაგრამ გვაჩვენებს, როგორ ვიცვლებით, ერთფეროვნებით და მუდმივობით ურთიერთობს ჩვენთან. ქანდაკების მუდმივობა გვაიძულებს აღვიქვათ ჩვენი მოძრაობა, ჩვენი ცვლილება.

ქანდაკება დროის ათვლის წერტილია. არა მხოლოდ მისი შექმნის, მისი დაბადების ეპოქასთანაა კავშირში, არამედ ჩვენივე ცხოვრებასთან, დროსთან, ან იმ დღესთან, როცა იგი პირველად ვნახეთ. მგონი, ამიტომ გვიჩნდება მისი კვლავ ნახვის სურვილი: რომ მივხვდეთ, რამდენად შევიცვალეთ, რამდენად გავიზარდეთ სიმაღლეში, ან ხომ არ დავპატარავდით, ვინ ვართ დღეს, რა დავინახეთ ახალი. ქანდაკების ხელახლა ნახვა დროის და სივრცის უტყუარი საზომია.

დედობა, ელისაბედ ხუანი, 1997 წელი, კულტურის ცენტრი “მუზას” ეზო

ძეგლის გახსნა ქალაქის მოედანზე

ჩემს მეხსიერებაში ძეგლის ერთი გახსნაა. მესამე კლასში ვიყავი, 1996 წელი იყო. ქუთაისში, მთავარ მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლის კვარცხლბეკს დიდხანს აშენებდნენ. შენება, იმ დროს, სხვა არაფრის მახსოვს. ალბათ, ამიტომ შეიქმნა ამხელა აჟიოტაჟი და გახსნის მოლოდინი. მახსოვს ძეგლი თეთრი ზეწრით. უამრავი ხალხი მის გარშემო. ზეწრის ჩამოხსნისას თოკი გაწყდა და ზეწარი ჩამოეკიდა, ქანდაკების გაშიშვლების მომენტი გაიწელა. ადამიანები ამ რამდენიმე წუთით ანერვიულდნენ, თითქოს რაღაც გაფუჭდა. როცა ძეგლი გაშიშვლდა, შუა მოედანზე აღმაშენებლის სამგანზომილებიანი სკულპტურა დავინახეთ. დიადი მეფე ცხენზე. ქანდაკებას მშვიდი, დამაჯერებელი გამომეტყველება ჰქონდა. მახსოვს, ზომაში უფრო დიდს ველოდი, მოედნის სივრცისა და მესხიშვილის თეატრის ზომების გათვალისწინებით, ქანდაკება საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურებოდა. გელათის კედლების შემდეგ, მოედნის სახით პირველად გამოჩნდა იმედი. არ მახსოვს, როგორ აფასებდნენ ხელოვნებათმცოდნეები. მახსოვს, როგორ გამიხარდა 9 წლისას მისი დანახვა. სკოლიდან სახლისკენ 22 ნომერი ავტობუსი ყოველდღე არტყამდა წრეს აღმაშენებელს და ასე აგრძელებდა გზას. სახლში შუქი, წყალი და სითბო არ მელოდებოდა. იყო მხოლოდ სკოლის წიგნებიდან დიადი წარსულის შეხსენება და ახლა უკვე მომავლის რწმენა - ელგუჯა ამაშუკელის დავით აღმაშენებელი ქალაქის მთავარ მოედანზე იდგა.

დავით აღმაშენებელი, ქუთაისი, 1996-2011 წლები, ფოტო ლევან თაქთაქიშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტომატიანე

1. **“მწუხარე საქართველო”, იაკობ ნიკოლაძე 1913 წ.**

ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ქანდაკება ქალის სხეულით იაკობ ნიკოლაძეს ეკუთვნის, ქართული ქანდაკების სკოლის ფუძემდებელს. იაკობ ნიკოლაძე ქუთაისში დაიბადა. 1904 წელს პარიზში სასწავლებლად წასულ ნიკოლაძეს ფლორენციაში უმოგზაურია და აქ უნახავს მიქელანჯელოს ქანდაკებების სერია - “მონები”. იმ წამიდან უკვე როდენის მოსწავლე ვიყავიო (იაკობ ნიკოლაძე, თ. სანიკიძე, ხელოვნება, თბილისი, 1977, გვ.12) ამბობს ნიკოლაძე. როდენი კი ის იყო, ვინც მეოცე საუკუნის დასაწყისში მიქელანჯელოს “მონები” თანამედროვე სკულპტურის ენად აქცია. მიქელანჯელოს ეს თითქოს ნახევრად დასრულებული ქანდაკება დიდ ყურადღებას არ იმსახურებდა დავითის, პიეტასა და მოსეს გვერდით. “მონები” პირველად როდენმა თარგმნა. მისი დაკვირვების მიხედვით, ეს ქანდაკება არ არის ნაყოფიერების მომენტში მყოფი ხელოვნების ნაწარმოები, არამედ მოძრაობაში მყოფია. “მონები” არ ჰგვანან არც დავითს, არც პიეტას და არც მოსეს წამის სისრულით. ისინი ქვის ლოდებისაგან მუდმივად თავისუფლდებიან.

იაკობ ნიკოლაძის აღფრთოვანება სწორედ ამ მოძრობაში ყოფნას გამოუწვევია. იმ წლებში, როცა პარიზში მყოფი ნიკოლაძე როდენს მიებარა მოსწავლედ, საქართველოში მოკლეს ილია ჭავჭავაძე. 1907 წელია და ქართველ ხალხს ამ ამბით მოგვრილი მწუხარება აერთიანებს. იაკობ ნიკოლაძეს ძლიერ მონდომებია, ქანდაკებაში გამოეხატა დამწუხრებული საქართველო. 1909 წელს იაკობ ნიკოლაძე ქმნის “მწუხარე საქართველოს” - კედელს მიყრდნობილი, მხრებდაშვებული, მწუხარე ქალი ბრინჯაოს სხეულში, რომელსაც ხელში დაფნის რტო უჭირავს. მაგრამ, ქანდაკების შექმნას ჩანაფიქრიდან დადგმამდე ცალკე ისტორია აქვს.

“მე, როგორც ქართველს თქვენთან ერთად მიძგერს გული და მდის ცრემლი ჩვენს უდროოდ დაკარგულს მგოსანზე. და სწორედ ბედნიერებად მიმაჩნია, თუ მე მომანდობენ ბრწყინვალე მგოსნისა და მამულიშვილის პატივისცემას,”[1] წერდა იაკობ ნიკოლაძე 1907 წლის 6 ნოემბერს *წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.* 1908 წელს თებერვალში იგი საქართველოში ჩამოსულა და ისევ უთხოვია, ძეგლის შექმნა მისთვის მიენდოთ. პასუხად გამგეობამ მოქანდაკეს მოდელის შექმნა და ხარჯთაღრიცხვის წარდგენა დაავალა.

“მწუხარე საქართველო”, იაკობ ნიკოლაძე, თბილისის პანთეონი, 2026 წ.

[1] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი #281, საქმე #25

ძეგლის სულ სამი ესკიზი შეიქმნა. პირველ ესკიზში წარმოდგენილ კომპოზიციაში შავებით მოსილი მგლოვიარე ქალი ილიას ბიუსტთან ზის. სამხატვრო კომისიის გადაწყვეტილებით, კომპოზიციიდან ილიას ბიუსტი მოხსნეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ძეგლის მთლიანობას არღვევდა. უკვე მეორე ვერსიაში მხოლოდ მტირალი ქალის ფიგურას ვხედავთ. კომისიას ისევ შეაქვს ცვლილებები და, საბოლოოდ, ესკიზის მესამე ვერსიას ამტკიცებს. 1908 წლის 20 დეკემბერს იაკობ ნიკოლაძე აფორმებს ხელშეკრულებას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან და მიემგზავრება პარიზში.

სექტემბერში, ნიკოლაძე უკვე თიხით გამოქანდაკებული “მწუხარე საქართველოს” ფიგურის ფოტოს გზავნის სახელოსნოდან - “საზოგადოების მიერ მოწონებული ძეგლი ილია ჭავჭავაძის უკვე დავასრულე თიხიდან. რადგან თიხის მოდელის დატოვება დიდხანს შეუძლებელია, ამისთვის, ვგზავნი გრაფიკულ სურათებს, უმორჩილესად გთხოვთ, რაც შეიძლება მალე განიხილოთ და გამგეობის აზრი დეპეშით შემატყობინოთ. დავამატებ, რომ ფოტოგრაფიას, რასაკვირველია, არ შეუძლია ის შთაბეჭდილება მოახდინოს, რასაც ძეგლი ცხადად ახდენს.” [2]

იაკობ ნიკოლაძის მიერ კომისიისთვის განსახილველად გამოგზავნილი ფოტო. პარიზი. 1909 წელი. საქართველოს ეროვნული არქივი.

[3] იაკობ ნიკოლაძე, მამია დუდუჩავა, გამომცემლობა ხელოვნება, 1953წ. გვ. 34-43

გამგეობამ ეს ფოტო დაახლოებით ერთ თვეში მიიღო და მოიწონა. პასუხთან ერთად იაკობ ნიკოლაძეს გაუგზავნეს ქანდაკების ბრინჯაოში ჩამოსხმისთვის საჭირო ფული .
თანხა მცირე არ იყო და ლამის მთელ საქართველოს მიუღია მონაწილეობა მის შეგროვებაში.

ზუგდიდის ნდობის საზოგადოებისგან - 5 (რუსული რუბლი)
ტფილისის სათავადო ბანკისგან - 2500
ნ.ღოღობერიძისაგან - 100
ი.ღლონტისაგან - 3
ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთაგან - 118,21
ტფილისის თავადაზნაურთაგან - 1000
შავი ქვის მწარმოებელთაგან - 300
დ.სარაჯიშვილისგან - 500
ქუთაისის ქალაქის გამგეობისგან - 200
ქუთაისის საქალაქო ბანკისაგან - 300
ჭიათურის დრამატული საზოგადოებისაგან - 100



ილიას ძეგლის შემომწირველთა ერთ-ერთი სია

ვკითხულობთ ილიას ძეგლის შემომწირველთა ერთ-ერთ სიაში.

“მწუხარე საქართველოს” ბრინჯაოში ჩამოსხმამდე და დადგმამდე წლები მიილევა. ოლღა თურმე წუხდა ილიას ვერდასრულებული საფლავის გამო. 1913 წელს თეთრი ზეწარი აკაკიმ ჩამოხსნა “მწუხარე საქართველოს” და უწოდა “გვირგვინი მწუხარებისა და გულდაწყვეტისა”.

კრიტიკამაც არ დააყოვნა: მწუხარე სახე არ შეეფერება ილიას ხსოვნას, რომელმაც თავი შესწირა საქართველოს იდეალებსო, ამბობდა ზოგი. [4]

იაკობ ნიკოლაძე 75 წლის ასაკში ავადმყოფობით გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მასთან სტუმრად მყოფი მეგობრებისთვის გაუმხელია მისი სიცოცხლისა და ცოცხლის მიმართ სიყვარულის ამბავი.

“ყველაზე დიდი სილამაზე და სიხარული სიცოცხლე ყოფილა, ალბათ მეც ამიტომ დავეძებდი მას უსიცოცხლო თიხასა და ქვის ცივ ლოდებში. მათ ვაცოცხლებდი და ახლა მე თვითონ ვკარგავ სიცოცხლეს... ყველანი, ყველანი ლამაზები ხართ, ვინც ცოცხლობთ, მეტად ლამაზები” [5]

2. **“როზა ლუქსემბურგი”, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1871-1919), ი. სერგეევი, 1923წ. ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკი /ქანდაკება აიღეს 1991 წ.**

1923 წელს დადგმული ბეტონის როზა ლუქსემბურგის ბიუსტი 1991 წელს აუღიათ ნაძალადევის პარკიდან. ამის შემდეგ ძეგლის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება. არც მისი შექმნელის, ი. სერგეევის შესახებ არის ბევრი ცნობა ხელმისაწვდომი. ინტერნეტწყაროების მიხედვით, სერგეევისვე უნდა ყოფილიყო თბილისში 1921 წელს დადგმული ლენინის პირველი ქანდაკებაც. ფაქტია, რომ სოციალისტური კვანძები თბილისმა საბჭოთა სახელმწიფოს ნგრევის პირველივე წლებში დაუფიქრებლად მოიშორა, თუმცა თბილისი ასეთი ერთადერთი ქალაქი არ ყოფილა. 90-იან წლებში როზა ლუქსემბურგის მემორიალები და ქანდაკებები სხვა ქალაქებიდანაც გააქრეს.

2025 წლის გაზაფხულზე, სასოწარკვეთილ თბილისში ყველას გაფიცვა გაგვახსენდა. გვინდოდა, გაფიცვით, ანუ შრომაზე უარით შეგვეჩერებინა თავსდამტყდარი ბოროტება. მაშინ მივაკითხე როზა ლუქსემბურგის ტექსტებს.

“თუ ვინმე შეეცდებოდა მასობრივი გაფიცვა, როგორც პროლეტარული მოქმედების ფორმა, მეთოდოლოგიური აგიტაციის საგნად ექცია და სახლიდან სახლში სიარულით ამ „იდეის“ გავრცელებას ეცდებოდა, რათა ნელ-ნელა მუშათა კლასი დაეთანხმებინა, ეს ისეთივე უაზრო, უშედეგო და აბსურდული საქმე იქნებოდა, როგორც იმის მცდელობა, რომ რევოლუციის იდეა, ბარიკადებზე ბრძოლის იდეა აგიტაციის საგნად ექცია.” [6]

“როზა ლუქსემბურგი”, ი. სერგეევი, ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკი. ქანდაკება აიღეს 1991 წელს.

[4] იაკობ ნიკოლაძე, მამია დუდუჩავა, გამომცემლობა ხელოვნება, 1953წ. გვ. 42
[5] მოქანდაკის მოგონებანი, ბ.ნიკოლაძე, საბჭოთა საქართველო, 1964
[6] The Mass Strike, the Political Party and the Trade Unions, Rosa Luxemburg, 1906, pg 10

3. **“ზოია რუხაძე”, ამირან ბილანიშვილი, 1957, არტოს ბაღი**

“დროის ნაწნავებს” ავტობუსი წრეს დაარტყამს და გზას დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე გააგრძელებს. “ნოე ჟორდანიას სანაპირო”, აცხადებს ავტობუსის ხმოვანი გიდი. პატარა გოგონა, ალბათ, 10 წლის, მინაზე თავმიდებული დაჟინებით მიყურებს. რაღაცას ფიქრობს. მერე სანაპიროს გახედავს, მზე სახეზე დასთამაშებს.

“- გააღე, გააღე!
- რა გეჩქარებოდა, ქალბატონო!” ხმამაღლა პასუხობს მძღოლი. ავტობუსი ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩასთან ჩერდება. ოციოდე ნაბიჯით უკან უნდა დაბრუნდე და შეამჩნევ არტოს ბაღის თაღს. აქ ზოია რუხაძე გელოდებათ.

ალბათ, ვერასდროს შევამჩნევდი ზოია რუხაძის ძეგლს არტოს ბაღში, ან ვერ მივხვდებოდი მისი წინგადადგმული ნაბიჯის ძალას, დასავლეთში მოგზაურობისას, ხონის ტრასაზე რომ ქალის უზარმაზარი ძეგლი არ შემემჩნია. 10 მეტრზე მაღალია ხონში მდგარი ზოაია რუხაძის ქანდაკება და მას გარსშემორტყმული მთელი კომპლექსი. უყურადღებოდ ვერავინ დატოვებს უცნაური სიამაყით მდგარი ახალგაზრდა ქალის სხეულს, უკან შეკრული მუჭით.

ილიას ძეგლის შემომწირველთა ერთ-ერთი სია

გამვლელებს ქანდაკების ვინაობაზე ვკითხე, არავინ იცოდა. მერე მოპირდაპირე მხარეს “ორი ნაბიჯის” მოლარემ, შუა ხნის ქალმა მითხრა, ზოია რუხაძეაო. საქვეყნოდ ცნობილი პარტიზანი ქალი იყო, სამამულო ომის გმირი, ხონში დაიბადაო. გამიკვირდა, არასდროს მსმენია მისი სახელი.

ზოია მათეს ასული რუხაძე, 1916-1944, დიდი სამამულო ომის გმირი.
კომკავშირელი პარტიზანი.

ქარია არტოს ბაღში. ფოთლები ქარში ბრუნავენ. ზოია დგას, ერთი ფეხი წინ წაუდგამს, ხელებზე ბორკილი უკეთია, ცალი ხელი, როგორც ხონში, მუჭად შეუკრავს. კაბას ნიავი ურხევს, უფრო სუსტი, ვიდრე დღეს. წარბები შეუკრული აქვს, კაბა მხარზე აქვს ჩამოვარდნილი. ცივა. ბაღი ცარიელია. ქართული ფოლკლორული ანსამბლის დარბაზიდან დოლის ხმა ისმის.

“წაკითხული მაქვს, როგორ აწამეს
მტრებმა შუშანიკ ქალი ქართველი,
ეკლებზე როგორ გამოატარეს,
მამულზე ფიქრით ღამენათევი.
წაკითხული მაქვს, როგორ აწამეს
მტრებმა ქეთევან ქალი ქართველი,
სისხლის წვეთებად როგორ დასცალეს,
როგორ დაუწვეს მკერდი შანთებით.
მაგრამ იაკობ, შენც თეიმურაზ,
განა, ზღაპრადაც გაგიგონიათ?!
წარმოიდგენდით, განა, იმ სურათს,
როგორ აწამეს ჩვენი ზოია!
ხელი შეუკრეს, კედელს მიაკრეს,
შანთით დაუწვეს ფეხის გულები,
ბნელი ჯურღმული ააკიაფეს,
ზოიას სისხლის ნაკადულებით.
გადაუგრიხეს ნაზი მკლავები,
ცრემლი ვერა და, სისხლი ადინეს,
შემდეგ აიღეს მარწუხკავები
და დააგლიჯეს ფრჩხილი ათივე.

ასე აწამეს, ასე აწვალეს,
მაინც არ მოსწყდა ცრემლი წამწამებს,
თუმც განიცდიდა საშინელ ტკივილს,
ეწვოდა მკერდიც, წყურვილიც ჰკლავდა,
გაცისკრებული იმედის სხივით
ამაყად იდგა დიდების კართან!”

ზოია რუხაძე არტოს ბაღი, 2026 წელი

ეს ლექსი ჩემმა მეგობარმა ლიამ მომიყვა და ჩავიწერე. ლია ტყიბულში გაიზარდა. ხშირად იხსენებს ბავშვობის ამბებს და ტყიბულში გატარებულ ცხოვრებას, სკოლას, მოზარდობას, ექთნად მუშაობას.

ლია იყო პირველი, ვისაც საოჯახო შრომაში ჩართული ქალების გაერთიანებისა სწამდა. პირველი, ვისი სიტყვაც გახდა ძიძებისა და საოჯახო მშრომელების ასოციაციის დაფუძნების მიზეზი. ლიას ზოია რუხაძეზე ბავშვობაში დედა უყვებოდა, მას და მის დებს ასწავლიდა ლექსს ზოიზე.

ეს ტაეპები გზაში, ბათუმიდან თბილისისკენ მომავალმა გაიხსენა. ლია მიყვება, რომ ზოიას შესახებ ყველამ იცოდა. ზოია იყო იატაკქვეშელი ამფეთქებელი ქალი, სამამულო ომში გერმანელთა ყაზარმებზე აკრავდა ანტიფაშისტურ ცნობებს, აგროვებდა ინფორმაციას მტრის ადგილსამყოფელზე, მონაწილეობას იღებდა მნიშვნელოვანი იარაღ-საწყობების აფეთქებაში. ამას 19-20 წლის ასაკში აკეთებდა. 21 წლისა გარდაიცვალა. მტერს 10 მარტს, საკუთარ დაბადების დღეზე აუყვანია. მოკავშირეების გათქმას სთხოვდნენ. 10 აპრილს ჭაში ჩაახრჩვეს.

აღმაშენებლის “ლუკა პოლარეში” ვანილის ნაყინის ერთ ბურთულაში და ფინჯან ყავაში 12 ლარს ვიხდი. მზე ისევ აცხუნებს. “ლუკა პოლარეს” მოლარე გოგოები ინსტაგრამის მიმოწერაზე აღელვებით ლაპარაკობენ.

ზოია რუხაძე არტოს ბაღი, 2026 წელი

4. „სამაია“ - ნ. ალექსიძე, გ. ქართველიშვილი, თ, ჭყონია, 1957 წელი. ჯავახიშვილის ქუჩა

ნელი ალექსიძე ერთადერთი ქალი სკულპტორია, რომლის ქანდაკებაც საჯარო სივრცეში აღმოვაჩინე - მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე, სამაიას ბაღში.

“მთელი სიცოცხლე შევნატროდი მამაკაცებს”, - ამბობს ნელი 1997 წელს, გაზეთ “ახალი თაობისთვის” მიცემულ ინტერვიუში - “რომლებსაც სახელოსნოში მუშაობის მეტი დრო ჰქონდათ. დილით ლექციების ჩასატარებლად მივიჩქაროდი, დღის მეორე ნახევარში - სახელოსნოში, საღამოს კი ოჯახში გამოვრბოდი. ორი კურდღლის დევნა ძნელიაო, მე კი სამი კურდღლის დევნა მიწევდა.” [7]

სამაია სამი ერთი და იმავე სახის და სხეულის ნახევრად შებრუნებული, მოძრაობაში მყოფი სხეულისგან ძეგლია. ქალებს ერთ ხელში საერთო თასი უჭირავთ, რომლიდანაც ოდესღაც წყალი მოედინებოდა, მეორე ხელი კი სამივეს დაშვებული აქვს. ბაღში გაშლილ ქოლგებს შორის ძლივს თუ გაარჩევთ ქალის სხეულებს. დაშვებული ხელები მიგახვედრებთ, რომ ეს ქალები კი არ დგანან, ცეკვავენ.

ვერსად წავიკითხე, რატომ გამოაქანდაკა ნელი ალექსიძემ სამაია. ცეკვა სამაიას შესახებ იძებნება ინტერვიუ ნინო რამიშვილთან. მე და ილიკო სვეტიცხოველში ვიყავით, ფრესკები ვნახეთ, ამბობს ნინო და გადახრილ მტევანს აჩვენებს - ეს ხელის მტევანის გამოსახულება გამხდარა სამაიას ცეკვის შექმნის ინსპირაცია. პირველად ოპერაში “აბესალომ და ეთერისთვის” დადგმულა, ზაქარია ფალიაშვილის მიწვევით, კაბები კი სოლიკო ვირსალაძის მხატვრობითაა შექმნილი თამარ მეფის სამი ფრესკის მიხედვით - ვარძიის ფრესკაზე ყმაწვილი თამარი, ყინწვისის თამარი ცისფერი სამოსით, მესამე სახე კი ბერთუბნის თამარია. სპილენძისფერ სამოსში ძლევამოსილი მეფე იგულისხმებაო, ამბობს ამავე ინტერვიუში ნინო სუხიშვილი.

„სამაია“ - ნ ალექსიძე, გ. ქართველიშვილი, თ ჭყონია, 1957 წელი. ჯავახიშვილის ქუჩა

[7] ყოველდღიური გაზეთი “ახალი თაობა”, #29, 1997წ, გვ.4

5. „ქართლის დედა“, ელგუჯა ამაშუკელი, სოლოლაკის ქედი, 1958

ქართლის დედა სოლოლაკის ქედზე დგას. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, თბილისში, ალბათ, არავის უცხოვრია, ვისაც არ დაუნახავს და მზერა არ გაშტერებია ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტური ქანდაკებაზე.

“უყოყმანო” - ასე აღწერს მურმან ლებანიძე განცდას, ამაშუკელის ვახტანგ გორგასლის ქანდაკების პირველად დანახვისას 1958 წელს გამართულ კონკურსზე, სადაც სხვადასხვა მოქანდაკის შექმნილი ვახტანგ გორგასლის ოცამდე ნამუშევარი გამოიფინა. “უყოყმანოდ დავდექ ვახტანგ გორგასალთან,” - ამბობს და განმარტავს, რომ ამ ძეგლში იპოვა მანამდე არარსებული სახე მეფისა, რომელიც მანამდე ჩანახატშიც კი არავის უნახავს. ელგუჯას ვახტანგ გორგასალმა დაიტია ადამიანების გონებაში არსებული უფორმო წარმოდგენა, შევარდენს გადევნებული მეფის მოძრაობა, რომელსაც თბილისის დაარსება უნდა მოჰყოლოდა. ამ მოძრაობას ამაშუკელი მეფის ჰაერში მართი კუთხით აღმართული ხელით გამოხატავს.

ალბათ, ეს უყოყმანობაა, რაც ვახტანგ გორგასალსა და ქართლის დედას ნათესავებად აქცევს.

ამავე წერილში ლებანიძე ქართლის დედასაც უსვამს კითხვებს: “რაო, რას გვანიშნებს ეს საყვარელი სილუეტი ასე ძუნწად და ასე თავდაჭერილად? რატომ დგას იგი ასე მხნედ და ასე წელგამართულად? რატომ თავაღერილი არ დგას და ქედი ოდნავ მოუდრეკია? იქნებ, ისიც შემთხვევითია, რომ წარბშეკრულს მახვილი სიბრტყივ თეძომენჯისთვის გაუსწორებია და ზედ უფარებია? ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები კითხვებს არასდროს პირდაპირ არ პასუხობს და ხშირად, ათეულ წლობით აგვიანებს, იგი ეუფლება ადამიანს და პასუხს იძლევა ემოციის გზით, რომელსაც აღძრავს.” [8]

ქართლის დედა 1958 წელს თბილისის 1500 წლის იუბილის აღსანიშნად, კონკურსის გარეშე შეუკვეთავთ იმ დროს უკვე სახელოვანი მოქანდაკის, ელგუჯა ამაშუკელისათვის. თავდაპირველად “დედაქალაქი” ერქვა და ხის იყო. როგორც თითქმის ყველა ძეგლს, ნამდვილი სახელი მასაც ხალხმა შეურჩია. “დე...” ასეთ გრაფიტს ნახავთ ქანდაკების ობელისკთან ახლოს მისული.



ქართლის დედა, სოლოლაკის ქედი, 2026 წელი

[8] ელგუჯა ამაშუკელი, გაზეთ “ლიტერატურული საქართველოს” ბიბლიოთეკა, თბილისი, 1966. გვ 34.

შორიდან მთელ ქალაქს გადმოსცქერის, ახლოდან კი თავზე ლურჯი ცა ადგას, სხვას ვერაფერს დაინახავთ. მეტალის და ცის ასეთი სიახლოვე უცნაურ, კოსმიურ განცდას ქმნის.

ინტერნეტში სტატიას გადავაწყდი, სადაც ელგუჯა ამაშუკელი საინტერესო ამბავს ჰყვება ქართლის დედის მდებარეობის შესახებ, რაც თურმე წინააღმდეგობის საგანი გამხდარა. ამ მონათხრობის სიზუსტე სხვა წყაროებით ვერ დავადასტურე, მაგრამ ძალიან ჰგავს სიმართლეს. ქანდაკება დადგმიდან მალევე გამხდარა ძალიან პოპულარული და მასზე გაუთავებლად იწერებოდა ადგილობრივ და საბჭოურ გამოცემებში. ამგვარი საყოველთაო აღიარების ფონზე, საბჭოთა თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს, გიორგი გეგეშიძეს, დაუბარებია ამაშუკელი თავის კაბინეტში და უთქვამს, ქართლის დედა სოლოლაკის ქედიდან უნდა მოვხსნათ და სხვაგან უნდა გადავიტანოთო. “არის ასეთი აზრი, მოვხსნათ და მახათას მთაზე გადავიტანოთ, უფრო მაღალ კვარცხლბეკზე,” - უთქვამს მას. ელდანაცემი ელგუჯა მიზეზს ჩასძიებია და გაურკვევია, რომ ქართლის დედის ხმალი რუსთაველის გამზირის რომელიღაც წერტილიდან ლენინის ქანდაკებას თურმე ყელზე ებჯინებოდა. დამადასტურებლად, გიორგის უჯრიდან ფოტოც ამოუღია.

საბოლოოდ, ავტორის არგუმენტს უხსნია ქანდაკება. გეომეტრიის კანონია, რომ ორი წერტილი აუცილებლად დაემთხვევა ერთმანეთს რომელიმე მესამე წერტილიდანო, უთქვამს ამაშუკელს.

ქართლის დედასთან მზიან შაბათ დღეს მივედი. მოსალოდნელზე მეტი ადამიანი დამხვდა. ყველა უცხოელია, მოდიან, ცოტა ხანს ჩერდებიან, წრეს შემოუვლიან, მაღლა იყურებიან. Sword and Bowl, ყველაზე ხშირად ეს სიტყვები ისმის. ცდილობენ, გაიგონ მათი მნიშვნელობა.

“გუგლში წავიკითხე ქანდაკებაზე, ერთ ხელში ხმალი უჭირავს დამოუკიდებლობის საჩვენებლად, მეორეში კი ღვინო - სტუმართმასპინძლობის სიმბოლოდ. მომეწონა, ქულ იყო, ზომაც გამორჩეულად დიდი აქვს,” - მეუბნება ანისა თურქეთიდან.

“იცავს ქალაქს, ეს არის, რასაც აკეთებს. რიოს ქანდაკებას მაგონებს, ხელებგაშლილ იესოს. ლამაზია, ძალიან ლამაზი, საქართველოს დედაა, ხომ?” - მეკითხება შუახნის კლერი.
უცხოელების მოზრდილ ჯგუფში ერთ-ერთი ქალი დაინტერესდა ხმლისა და თასის სიმბოლიკით. ქართველ, ახალგაზრდა კაცს გიდის როლი შეუთავსებია, სიტყვებს ფრთხილად არჩევს და ცდილობს, აუხსნას დაინტერესებულ ტურისტს, რას გამოხატავს ერთდროულად ხმლისა და თასის ჭერა. ღვინის თასი სულგრძელობისა და მასპინძლობის სიმბოლოა, ხმალი კი ძალის მანიშნებლად უჭირავს, მას შეუძლია მტრისგან დაიცვას. მართლაც, შეუძლიათ ქალებს ნამდვილ მეომრებად იქცნენ,” ღიმილით ამატებს გიდი. ტურისტი ქალი იმეორებს გიდის სიტყვებს და საქმიანად ასკვნის - “ქალებს მართლაც მონაცვლეობით შეგვიძლია ამის კეთება, ხან მასპინძლები ვართ, ხან მეომრები”.

ახალგაზრდა გოგო ქართლის დედის ბეტონის აივნის კიბესთან ჩანთიდან *Bounty-სა და Snickers-ს* იღებს და მცირეწლოვან ბავშვსა და მეგობარს აწვდის. იღიმიან. ვხვდები, ქართველები არიან. ვუახლოვდები და ვეკითხები ამოსვლის მიზეზს. “აქ ბავშვობაში დედასთან და დეიდასთან ერთად დავდიოდი”, - მეუბნება ანა, - “ახლა მომინდა, ჩემი შვილი წამომეყვანა. ბოლოს შარშან ვიყავით. მზიან დღეებში მიყვარს მოსვლა, აქ ხომ სულ მზის გულია. თან ბეთლემის ეკლესიიდან კიბეებით ამოვდივარ, მანდ სულ ცივა, გზად იკბინება სიცივე, მაგრამ აქ მზე მეგულება

ქართლის დედა, სოლოლაკის ქედი, 2026 წელი

ხოლმე და მიყვარს ამოსვლა.”

მართლაც ანათებენ მზის სხივები ქართლის დედის ღია ფერის მეტალს. გრანდიოზული ქალის ქანდაკება 20 მეტრის სიმაღლის ყოფილა. თუ დააკვირდებით, ერთმანეთთან შეწყობილი, განივ ზოლებად გადაბმული დაახლოებთ 1 მეტრის ზომის მეტალის ფილები ადგენენ ქალის მყარ, წელში გამართულ ფიგურას.

მეგობარი მიყვება, რომ თინეიჯერობისას ქართლის დედასთან დასალევად ადიოდნენ ხოლმე. ახლა აქ მხოლოდ ჩამვლელი ტურისტები მხვდებიან, ცოტა ხნით ყოვნდებიან, ფოტოებს იღებენ. ყველაზე პოპულარული დრონით გადაღებაა. ეს ფოტო-ვიდეო გადაღების თანამედროვე სერვისია, რომლისთვისაც დრონის აფრენაა საჭირო.

ქართლის დედის კვარცხლბეკთან მდგარ ტურისტს დრონი მიზანში იღებს. ჯერ ახლო კადრით, შემდეგ კი ზემოთ აფრინდება და ქართლის დედას ერთიანად აჩენს კადრში. ქალის ადამიანზე 18-ჯერ დიდი ფიგურა ვიდეო კადრშიც შთამბეჭდავი სანახავია. მერე დრონი წრეს უვლის ქართლის დედას და ქალაქსაც იღებს.
ვიდეოს სხვადასხვა ინსტაგრამის ტრენდად ქცეული მუსიკა ერთვის Coldplay - Paradise, Indila - Love story, Paris Apaloma - Labour the Cacophony. ტურისტები კადრებს საკუთარი ინსტაგრამის პროფილებზე ტვირთავენ, მომსახურება 60 ლარი ღირს. ქართველი ახალგაზრდა მედრონეები მთელი დღის მანძილზე გაუჩერებლად ცდილობენ ტურისტები დრონით გადაღების სერვისით დააინტერესონ.

“ჩვენთვის უცნობი ეროვნების ხალხი დადის აქ,” - მეუბნება, ალბათ 25 წლამდე ქართველი ბიჭი. “ევროპელები იშვიათად დადიან, არაბები, ინდუსები, რუსები კი ბატონო. რუსს კი არ ვაქებ, მაგრამ მაგათ კიდევ მეტს გააგებინებ, ჩვენი კულტურა უფრო ესმით და აფასებენ. ეს ხალხი, რასაც ახლა ხედავ, ალბათ ათი პროცენტია იმის, რამდენიც ადრე დადიოდა. აღარ ჩამოდიან საქართველოში ტურისტები”, - გულისწყვეტით მეუბნება ახალგაზრდა კაცი.

მცირე ზომის საინფორმაციო დაფას გაარჩევთ ქანდაკების კვარცხლბეკის მარჯვენა კუთხეზე. QR კოდს რომ დაასკანერებთ, ტელეფონზე ქართლის დედისგან ზარი შემოგივათ, ტელეფონს უნდა უპასუხოთ და ქართლის დედა ამ ფორმით გელაპარაკებათ. ნუთუ, საჭიროა ასეთი ფამილარული პირდაპირობა?

6. **“შრომა” - ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე. 1958 წ. პარლამენტი**

ვინ იცის, როგორი იქნებოდა დღეს ჭიათურის, ტყიბულისა და სხვა მშრომელი ხალხის გაუთავებელი ტანჯვის, წამების, შიმშილის ფონზე მიმდინარე საპროტესტო აქციები, პარლამენტის წინ რომ ისევ მდგარიყო შრომის ქანდაკება. ანტისაბჭოთა პროპაგანდამ უგზოუკვლოდ გადაკარგა შრომის ქანდაკება. მის გაუჩინარებასთან ერთად დაიჯერა კიდეც, რომ შრომის მნიშვნელობაც გააქრო, გადამალა.

“შრომა, მეცნიერება, ტექნიკა”, ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე. პარლამენტიპარლამენტის შენობის წინ, შოთა რუსთაველის გამზირი, ძეგლი აიღეს 1989 წელს

7. **“გაზაფხული “ ან „გოგონა ყვავილით,“ - გ. კორძახია, 1967წ. ივერიის ეზო, ლისის ტბა**

პირველი, რაც გურამ კორძახიაზე გავიგე, იყო ის, რომ მეორე მსოფლიო ომში მისი დაწყებიდან დასრულებამდე იბრძოდა. 1941 წლის 21 ივნისს 18 წლის გახდა, ომი კი 22 ივნისს დაწყებულა. გეპეიში ჩაბარებული ჰქონდა, მაგრამ უნივერსიტეტის ნაცვლად ომში წაიყვანესო, მიყვება გურამის შვილი, ქეთი კორძახია.

ომიდან დაბრუნებულმა, სამხატვრო აკადემიაში დაიწყო სწავლა. სადიპლომო ნამუშევრად მაიაკოვსკის ქანდაკება გაუკეთებია და თანაც, გაუგზავნია მოსკოვში, მაიაკოვსკის მოედანზე ქანდაკების შესარჩევი კონკურსისათვის. “ამ კონკურსზე ქართველს ვინ გაამარჯვებინებდა, მანამდე ქართველის ქანდაკება საბჭოთა მასშტაბით არსად არ გასულაო”, - ამბობს ქეთი კორძახია. თუმცა მაიაკოვსკის ძეგლი მოსკოვიდან თბილისში აღარ დაუბრუნებიათ, პოეტის ოჯახისა და მეგობრების მონდომებით. “მაიაკოვსკის და მაია მაიაკოვსკაია, ლილია ბრიკი, მოქანდაკე სარა ლებედევა და კიდე ათასი ვინმე ჩაერთო და გურამის მაიაკოვსკი დადგეს სახლ-მუზეუმის ეზოში. გახსნის ფოტოებიც არსებობს, მოედანზე კი დადგეს სხვა მოქანდაკის, გვარად ბრიკის, მაიაკოვსკი”.

თბილისში, დიღომში, მაიაკოვსკის ამ ქანდაკების გადიდებული ვერსია დგას, რომელიც დაწუნებულია. ამბობენ, რომ ზომაში გაზრდამ დაარღვია ქანდაკების ფორმები. მაინც შთამბეჭდავია თბილისის მაიაკოვსკიც.

(მარცხნიდან მარჯვნივ) ლეილა კორძახია - გურამ კორძახიას და, ირაკლი ოჩიაური, გოგი ოჩიაური, კადრისკენ ზურგით გურამ კორძახია და მაიაკოვსკის ქანდაკების ესკიზი (ორი მჯდომარე ადამიანის ვინაობა უცნობია) სამხატვრო აკადემიის სახელოსნო. 1951 წელი.



ახლადგახსნილი სასტუმრო ივერია. 1967-70 წლები

1959 წელს კორძახიას თაბაშირში ჩამოუსხამს შიშველი გოგონას ქანდაკება და ცისფერ გალერეაში გამოუფენია. ეს პირველი შემთხვევა იყო შიშველი სხეულის გამოფენისა, საბჭოთა წლებში. დიდი აჟიოტაჟი მოჰყოლია ქანდაკების სიშიშვლეს. 1966-67 წლებში, ივერიის არქიტექტორს, ტონი კალანდარიშვილს შეუკვეთავს უკვე მარმარილოში და დაუდგამს კიდეც ახლადგახსნილი ივერიის შიდა ეზოში, აუზის პირას.

“ივერია მინიმალიზმით შესრულებული ულტრათანამედროვე შენობა იყო, ქართული მწვანე ტუფით დაფარული,” - ჰყვება ქეთი კორძახია. “ისე იდგა, რომ საიდანაც არ უნდა შეგეხედა, მთაწმინდა არ იფარებოდა. მე ყოველთვის მაინტერესებდა ქანდაკების ბედი, შევდიოდი და ვნახულობდი, რა კატასტროფულ მდგომარეობაში იყო, მოტეხილი, დაწერილი, გაფერადებული. წლების შემდეგ ივერიიდან დევნილების გამოსახლება დაიწყეს. ვხედავდი, რა ხდებოდა ივერიაში - გულდა კალაძის ფანტასტიური რელიეფები, ალიკო გორგაძის მინანქარი, ბელა ბერძენიშვილის ნამუშევრები დალეწეს და გადაყარეს. აღმოვაჩინე, რომ მამაჩემის ქანდაკება არავის ბალანსზე არ იყო, არც მერიის, არც კულტურის სამინისტროსი. დავიქირავე ამწე და ქანდაკება მოვხსენი, წამოვიღე. დავაბინავე, ჯერ სარესტავრაციოა. დროებით დევს იმ ადგილას, სადაც არავინ დააზიანებს.”

2 მარტს “გაზაფხულის” სანახავად წავედი. ვიცოდი, რომ ლისზე ძველი, მრგვალი საზაფხულო რესტორნის ეზოში იდგა. სამანქანო გზა გადავჭერი. თოვლით დაფარულ ეზოში შესასვლელს ვეძებდი, როცა ნაძვებს შორის, ტბის ფონზე დავინახე თეთრი ქანდაკება. გაზაფხულივით გამოჩნდა. უცნაურად სიხარულის მომგვრელი იყო მისი დანახვა. მიახლოვებისას გეგონება, იმ ეფექტს დაკარგავს, რაც თვალის მოკვრისას დაინახე. უახლოვდები და გხვდება ჩამუხლული, დაუჯერებლად ცოცხალი. გაკვირვებს და გავსებს სიხარულით.

“გაზაფხული” ან “გოგონა ყვავილით” გურამ კორძახია, ლისის ტბის მიმდებარედ, 2 მარტი, 2026.

8. **„დასვენება“ - გ. შხვაცაბაია 1969წ. ნ. ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორია**

ბარათაშვილის ხიდის მიმდებარედ შხვაცაბაიას ბეტონის დიდი ქალის უცნაური ფიგურა ხომ არ გახსოვთ? ბეტონის თეთრი, უზარმაზარი ქვა ქალის სახითა და ფორმებით იდო თურმე ბარათაშვილის ხიდის მიმდებარედ. ეტრუსკების არტეფაქტების გამოფენაზე გადავეყარე ჩვენს წელთაღიცხვამდე მეშვიდე საუკუნის იმავე სახის მქონე გამოსახულებას. ეტრუსკები ადამიანის ფერფლის სარკოფაგს ადგამდნენ ასეთ ფიგურებს ბოროტი სულებისგან დასაცავად. შხვაცაბაიას მონუმენტი, ზუსტად იმავე გამოსახულებით, არსებობდა თბილისში და ერქვა “დასვენება” და ის დადგმის წელსვე აიღეს - 1969-ში.

„დასვენება“, გ. შხვაცაბაია 1969წელი ნ. ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორია ძეგლი აიღეს 1969 წელს.

ეტრუსკების ადამიანის ფერფლის შესანახი ჭურჭელი, გამოფენილია მილანის არქეოლოგიის მუზეუმში. 2026 წელი

9. **„მუზა“, მერაბ ბერძენიშვილი, 1971**

არცერთი მგზავრი 466 ნომერ მარშრუტკაში არ გახედავს მზის სხივებით განათებულ მუზას.

და სანამ მათ სახეებს ვაკვირდები, მავიწყდება, რომ მძღოლს გაჩერება უნდა ვთხოვო. ცირკთან ჩამოვდივარ. მზე ჩახჩახით ანათებს სუროს ფოთლებს და გზების იარუსებს. შუადღის სამი საათია. გმირთა მოედანი ხალხისგან დაცლილია, მანქანები უწყვეტად მოძრაობენ სართულებზე. მუზასთან მისასვლელად რამდენიმე განიერი ქუჩა უნდა გადავჭრა. შუა მიწისქვეშა გადასასვლელში მოწყობილ მანქანების სამრეცხაოს თავს ვაღწევ და გმირთა მოედნის მარადიული ცეცხლთან ამოვდივარ. ბენზინგასამართი, მშენებლობა, ხვიჩა კვარაცხელია გრაფიტიზე, საქაშნიკე, ამ სახლში ცხოვრობდა ღვაწლმოსილი ინჟინერი და საზოგადოებრივი მოღვაწე ადოლფ ხუროძე, ლომბარდი, სამშენებლო კომპანია ვისტა ჯგუფი, კაზინო, ესთეტიკური მედიცინის ცენტრი მედი, კავკასუს კრედიტი, კაფე, კაფე, მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზია, ალბათ, ევროპაბეთში მოგების შემდეგ თუ შემოივლის, ან იქნებ მოსაგებად სჭირდება ეს პერანგი, ძველი სამკერვალო, სასტუმრო, ისევ ლომბარდი, ხილ-ბოსტანი, ბავშვის თეთრეული, სამშობიარო, ოფისი #40, კინოდარბაზი, ქარიშხლიან უღელტეხილს აჩვენებენ.

კოსტავას ჩრდილიან ტროტუარს რომ გაივლი, მაღლა თბილისის ანძა ჩანს, ეშმაკის ბორბალიც. ამ შემთხვევაში, უკან უნდა მოიხედო, რომ მუზა დაინახო.

მზე სახის ნახევარსა და მხრებს უნათებს. ისე დგას, როგორც შეიძლება შუა მოედანზე დადგეს ახალგაზრდა ქალი, სახელად მუზა. ალბათ, ამ ადგილზე რომ ვინმემ უმიზეზოდ მთხოვოს თვალსაჩინოდ დადგომა, მეც ასე დავდგებოდი.

ცალ ხელში, თითქოს, ოქროს საწმისის მრავალგზის წარმოდგენილი ვერძის ნაწილი უჭირავს. ტანს უკან, თეატრალურად გაშლილი ხელებით გვაჩვენებს ნიღბების აცმას. სხეული ერთიანი, პლასტიური და ჰაეროვანია. თითქოს, ითვალისწინებს იქვე მდგარ ჭადრის ხესა და ფილარმონიის დარბაზის ფასადს. მოძრაობა, რომელშიც მუზას ვხედავთ, ბოლომდე არც უმოძრაობაა.

ინგლისურად მოლაპარაკე ბავშვები ფილარმონიის კიბეებზე სხედან. ქართველები არიან. გამოველაპარაკე. მითხრეს, ბევრ დროს ვატარებთ ფილარმონიასთან, სკეიტზე დგანან მეგობრებიო. და ისეც, გვიყვარს ეს ადგილი, ბევრი ასეთი სივრცე ქალაქში არ გვაქვსო. მუზაზე ვკითხე სამთაგან ერთს, ალბათ 15 წლის თუ იქნებოდა. “როგორ

მუზა, მერაბ ბერძენიშვილი, 2026 წელი

ვერ ვამჩნევ, ხელოვნება ჩვენი ცხოვრების ნაწილია და საინტერესო ძეგლია, თუმცა არც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიმიცია ამ დრომდე," - მეუბნება ბარბარე. მის ჩანთასთან, ფილარმონიის კიბეზე, ყოჩივარდების პატარა თაიგული დევს. გაზაფხულია.



"მუზა", ქანდაკება და პირველი ჩანახატები, მერაბ ბერძენიშვილი.

10. **“აღორძინება” - გ. ოჩიაური, 1989წ. მელიქიშვილის გამზირი**

თიბისი ბანკიდან გაღიზიანებული რომ გამოხვალთ, წინ შემოგხვდებათ გოგი ოჩიაურის ქალის დაჩეხილი სხეული.

1989 წელს, 9 აპრილის ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე, “ზემელზე” დაუდგამთ გოგი ოჩიაურის “აღორძინება”. ასე თავდაპირველად ერქვა, მაგრამ როგორც თითქმის ყველა ძეგლს, ხალხმა აღორძინებასაც შეუცვალა სახელი და 9 აპრილი ან დაჩეხილი საქართველო უწოდა. ქანდაკება იქცა 9 აპრილის შემსწრედ და მოწმედ. რამდენიმე წიგნში ძეგლი ყინწვისადაა წოდებული. წლების განმავლობაში მას ყვავილებით ამკობდნენ. თავისუფლებას შეწირული საქართველოს მეტაფორად დაუნახავს იგი ხალხს. ერთ ღამეს ქანდაკება მოიპარეს. წაიღეს და დააზიანეს. რაღაც დროის შემდეგ კი, გარე ჩარჩოს გარეშე აღადგინეს.

9 აპრილის მემორიალთან, 1989-90 წელი, ფოტო შახ აივაზოვი, ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტომატიანე

არსებობს აზრი, რომ ქანდაკების ჩარჩოს გაუღიზიანებია საბჭოთა ხელისუფლება. ჩაუთვლიათ, რომ ავტორი ალეგორიას აკეთებდა საბჭოთა მარწუხებზე.

სინამდვილეში კი ყინწვისის ფრესკას თუ ნახავთ, უმალ გაარჩევთ ჩარჩოს გაცდენილ ანგელოზის ფრთებს. ოჩიაურის ქანდაკებისა და ყინწვისის საერთოობას მხოლოდ მტევანი შეგახსენებთ, საჩვენებელი თითით ჰაერში.

“აღორძინება” ან “ყინწვისი”, გოგი ოჩიაური, მელიქიშვილის გამზირი

11. „დედაშვილობა“ - გ. ჯაფარიძე, 2002 წ. ი. ქავქავაძის გამზირი

“ხო შეიძლებოდა, ერთი ბავშვი მამას წაეყვანა?! ერთი სკოლაში მიჰყავს, მეორე ხელში ყავს. ახირხლულია ბავშვებით ქალი. კაცი არ ერევა. როცა ჩავუვლი, სულ მეცოდება,” - ამბობს ლია. მარტია, ილიაუნის წინ ტროტუარი ხალხითაა გადაჭედილი, სტუდენტები და ლექტორები უნივერსიტეტის დაანონსებულ დახურვას აპროტესტებენ. თავიდან ვფიქრობ, სტუდენტებს ქანდაკებაზე ვკითხო, მაგრამ როცა ახლოს მივდივარ, ვარჩევ, მსვლელობას შევუერთდე.

„დედაშვილობა“ - გ. ჯაფარიძე, ქავქავაძის გამზირი, ფოტო ინტერნეტიდან

12. „დროის ნაწნავები“ - გიორგი ხანიაშვილი, ვორონცოვის მოედანი

“დროის ნაწნავების” ქალაქში გამოჩენა სოციალურ ქსელებში მწვავე განსჯის თემა იყო. მახსოვს, ქანდაკების ნახვამდე, მისი კრიტიკა წავიკითხე სოციალურ ქსელში.

მის სანახავად მივედი ვორონცოვის მოედანზე. ღამე იყო, ქანდაკებას განათება არ ჰქონდა და ამ დრომდე არ აქვს. გზა გადავკვეთე და პატარა კვარცხლბეკზე შევდექი. მიწაზე იდგა, თუმცა ვერაფრით მოვახერხე, მზერა გამესწორებინა, გარინდული სახე სივრცეში გამჭოლად იყურება.

მას შემდეგ, მხოლოდ ავტობუსით ან მანქანით თუ ავუვლიდი ხოლმე “დროის ნაწნავებს”.

“დროის ნაწნავები” დროებითი პროექტი უნდა ყოფილიყო, მერე სადღაც უნდა გადაეტანათ. სხვანაირად ალბათ გამიჭირდებოდა გადაწყვეტილების მიღება, მეუბნება გიორგი ხანიაშვილი. მახსენდება, რომ ქართლის დედაც დროებითი ნამუშევარი უნდა ყოფილიყო.

“გამიზნული არ მქონდა, რომ ქალის ფიგურასთან მივსულიყავი. ნიშნებმა მიმიყვანეს. მთავარანგელოზის პორტრეტი მქონდა გაკეთებული ხეში. ეს სურათი წლების წინ თავისით მოვიდა და მერე გადავიტანე ფორმაში. სამ განზომილებაში რომ გადავიყვანე, ანტიკურ ბერძნულ ქანდაკებას დაემსგავსა. ეს ჩემთვის მიგნებასავით იყო. ქანდაკება შერწყმაა ქრისტიანულისა და ანტიკურის, ძველისა და ახლის. სხეული და დგომა თანამედროვე ანიმაციური თამაშის გმირის აქვს, ჟურნალში შემთხვევით გადავაწყდი. თმები, რომლითაც შეკრულია ქანდაკება, წმინდა ნინოს თმებია, ფესვებად იზრდება. სინთეზია. ანტიკური გადადის ქრისტიანულში და შემოდის თანამედროვე ყოფაში. დგას და უყურებს გარემოს.”

უცნაური დამთხვევაა, რომ ვორონცოვის (ახლანდელი ზაარბრიუკენის) მოედანი იყო ადგილი, სადაც თბილისის პირველი ძეგლი დაიდგა -- 1867 წლის 25 მარტს.

ამ ტექსტს ქალის ყველაზე ახალი ქანდაკებით ვასრულებთ, რომელიც იმავე მოედანზე დაიდგა 157 წლის შემდეგ.



“დროის ნაწნავები”, გიორგი ხანიაშვილი, ქანდაკების ერთ-ერთი პირველი ვერსია.

ქალები ძეგლებში

ქანდაკებების სია და ქრონოლოგია საჯარო სივრცეში დადგმის თარიღის მიხედვით

- „მწუხარე საქართველო”, იაკობ ნიკოლაძე 1913 წ. (1)
- „როზა ლუქსემბურგი”, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1871-1919), ი. სერგეევი, 1923წ. ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკი /ქანდაკება აიღეს 1991 წ (2)
- „ზოია რუხაძე”, ამირან ბილანიშვილი, 1957, არტოს ბაღი (3)
- „სამაია“ - ნ ალექსიძე, გ. ქართველიშვილი, თ ჭყონია, 1957 წელი. ჯავახიშვილის ქუჩა
- „ქართლის დედა“, ელგუჯა ამაშუკელი, სოლოლაკის ქედი, 1958 (5)
- „შრომა” - ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე. 1958 წ. პარლამენტი (6)
- ქალის ფიგურა - გ. კალაძე 1960წ. კულტურის ცენტრი მუზა (7)
- „გონების აღმაფრენა“ - ლ. მამალაძე 1960-61 წ. ექსპო-ჯორჯია (8)
- ტორსი - მ. ბერძენიშვილი - 1963წ. კულტურის ცენტრი “მუზა” (9)
- „გაზაფხული “ ან „გოგონა ყვავილით,“ - გ. კორძახია, 1967წ. ლისის ტბა (10)
- „დასვენება“ - გ. შხვაცაბაია 1969წ. ნ. ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორია (11)
- „შემოდგომა“, გ. შხვაცაბაია. 1970წ. ექსპო-ჯორჯია (12)
- „მუზა“, მერაბ ბერძენიშვილი, 1971 (13)
- ტორსი - ჯ. შანშიაშვილი, 1974წ. კულტურის ცენტრი “მუზა” (14)
- „დიდების მემორიალი“ - გ. ოჩიაური, 1981-85 წ, ვაკის პარკი (15)
- „ქალი მტრედით“, ი. ყაბდაშვილი, 1981, მუშთაითის დასვენების პარკი (16)
- „გაზაფხული“, ი. რევაზიშვილი 1983წ. მუშთაითის პარკი (17)
- „ნატო ვაჩნაძე“ - ნ. კანდელაკი 1987წ. დიღომი, კინოსტუდია “ქართული ფილმი” (18)
- „დროშები ჩქარა“, გ. შხვაცაბაია, 1988წ. გ.ლეონიძის პარკი (19)
- „აღორძინება” - გ. ოჩიაური, 1989წ. მელიქიშვილის გამზირი (20)
- „ქეთევან წამებული“, მ. ბერძენიშვილი, 1989წ. მ. ბერძენიშვილის შემოქმედებითი სახელოსნო (21)
- „ვერიკო ანჯაფარიძე“ - გ. შხვაცაბაია, 1990წ. მთაწმინდის პანთეონი (22)
- „საქართველო“ - მ. ბერძენიშვილი, 1991წ. მ. ბერძენიშვილის შემოქმედებითი სახელოსნო (23)
- „წმინდა ნინო“ - ზ. წერეთელი, 1994წ. დიღომი, მარჯვენა ფერდობი (24)
- „დედობა“ - ელისაბედ ხუანი, 1997 წ. კულტ. ცენტრი “მუზა” (25)
- „დედაშვილობა“ - გ. ჯაფარიძე, 2002 წ. ი. ჭავჭავაძის გამზირი (26)
- „ელენე ახვლედიანი“ - თ. ღვინიაშვილი, 2000 წ. 9 აპრილის ბაღი (27)
- „პაემანი“ - გ.ჯაფარიძე, 2006წ, ნ. ბარათაშვილის ხიდი (28)
- „მომლოდინე დედა“ - ვ. მელიქიშვილი, 2005წ. 9 აპრილის ბაღი (29)
- „მოცეკვავე გოგონა“, გ. ჯაფარიძე 2004წ. ბუზალაშვილების ქუჩა (30)
- „სოფიკო ჭიაურელი“ - ლ. ვარდოსანიძე, 2010წ. სიონის ქუჩის სკვერი (31)
- „მარჯორი სკოტ უორდროპი“ - ჯ. ქიქია, 2015 წ. 9 აპრილის ოლივერ უორდროპის სკვერი (32)
- „თავისუფლებისთვის დაღუპული“ თსუ-ს სტუდენტთა მემორიალი - ი. ნიკოლაძე, 2015 წ, თსუ-ს ეზო (33)
- „სატყუარა“ - თ. სეფიაშვილი, 2015 წ. ექსპო-ჯორჯია (34)
- „ქალი ქოლგით“ - მ. წოწორია, რესტორანი “ქართული სახლი”, მტკვრის მარცხენა სანაპირო (35)
- „ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი“ - ზ. წერეთელი, 2011წ, დავით აღმაშენებლის გამზირი (36)
- „ნატო ვაჩნაძე“ - ლ.ვარდოსანიძე, 2017წ. თუმანიშვილის თეატრი (37)
- „დროის ნაწნავები“ - გიორგი ხანიაშვილი, ვორონცოვის მოედანი (38)